

დუბლინის დესკრიპტორი

კვალიფიკაციებს, რომლებიც ადასტურებენ უმაღლესი განათლების შემოკლებული ციკლის (პირველი ციკლის შიგნით) დასრულებას, ანიჭებენ სტუდენტებს ვინც:

- ამჟღავნებენ მაღალ ცოდნასა და გაცნობიერებას შესწავლილ დარგში, დაფუძნებულს საშუალო სკოლის პროგრამისა და კარგი სახელმძღვანელოს დონეზე;
- მიღებული ცოდნა შეუძლიათ გამოიყენონ სამუშაოზე და პროფესიის შემდგომი განვითარებისათვის და ზედა საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;
- შეუძლიათ ცოდნის პროფესიული გამოყენება;
- შეუძლიათ გაიგონ და გამოიყენონ მონაცემები პასუხისათვის კარგად ცნობილ კონკრეტულ და აბსტრაქტულ საკითხებზე;
- შეუძლიათ კომუნიკაცია თანამშრომლებთან, უფროსებსა და კლიენტებთან მათი გაცნობიერების, უნარისა და საქმიანობის შესახებ;
- აქვთ თავისით სწავლის უნარი შემდგომ საფეხურებზე.

კვალიფიკაციებს, რომლებიც ადასტურებენ უმაღლესი განათლების პირველი ციკლის დასრულებას, ანიჭებენ სტუდენტებს ვინც:

- ამჟღავნებენ სწავლების დარგში ზოგად საშუალო განათლებაზე დაფუძნებულ ცოდნასა და გაცნობიერებას, ტიპიურს იმ დონისათვის, რომელიც, თუმცა ეფუძნება მხოლოდ მოწინავე სახელმძღვანელოებს, მაინც შეიცავს სწავლების დარგის უახლესი მიღწევების ზოგიერთ ასპექტს;
- შეუძლიათ გამოიყენონ თავისი ცოდნა და გაცნობიერება ისეთნაირად, რომ გამოამჟღავნონ პროფესიული მიდგომა მუშაობასა და სწავლების დარგში და აქვთ კომპეტენცია, რომელსაც ავლენენ შემოქმედებითი და დასაბუთებული არგუმენტებით და პრობლემების გადაწყვეტით სწავლების დარგში;
- აქვთ შესაძლებლობა შეაგროვონ შესაბამისი მონაცემები (ჩვეულებრივ, სწავლების დარგში), მოახდინონ მათი ინტერპრეტაცია და გამოიტანონ მართებული დასკვნა სოციალურ, მეცნიერულ და ეთიკურ საკითხებზე;
- შეუძლიათ გადასცენ ინფორმაცია იდეებზე, პრობლემებსა და გადაწყვეტებზე როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტთა აუდიტორიას;

- შეუძლიათ განავითარონ თავისი შემეცნების უნარი, რაც აუცილებელია შემდგომი სწავლის გასაგრძელებლად ავტონომიის მაღალი ხარისხით.

კვალიფიკაციებს, რომლებიც ადასტურებენ უმაღლესი განათლების მეორე ციკლის დასრულებას, ანიჭებენ სტუდენტებს ვინც:

- ზოგადად, ამჟღავნებენ პირველ ციკლზე დაფუძნებულ გავრცობილ და/ან აღმატებულ ცოდნასა და გაცნობიერებას, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ან შესაძლებლობას გამოამჟღავნონ ორიგინალობა იდეების განვითარებასა და/ან გამოყენებაში, ხშირად კვლევის კონტექსტში;
- შეუძლიათ გამოიყენონ თავისი ცოდნა და გაცნობიერება და ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობა ახალ, უცნობ და უფრო ფართო (ან მულტიდისციპლინარულ) გარემოში ვიდრე სწავლების დარგთან დაკავშირებული კონტექსტი;
- აქვთ შესაძლებლობა გააერთიანონ ცოდნა და განმარტონ სირთულეები, ასევე გამოიტანონ დასკვნა არასრული ან შეზღუდული ინფორმაციიდან, თუ იგი შეიცავს სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას, დაკავშირებულს მათი ცოდნისა და მსჯელობის გამოყენებასთან;
- შეუძლიათ გადასცენ თავისი, არგუმენტებით საფუძვლიანად გამყარებული, დასკვნები და ცოდნა, სპეციალიტებს და არასპეციალისტთა აუდიტორიას ნათლად და ცალსახად;
- აქვთ სწავლის უნარი, რაც აძლევს მათ საშუალებას გააგრძელონ სწავლა პრაქტიკულად დამოუკიდებლად და ავტონომიურად.

კვალიფიკაციებს, რომლებიც ადასტურებენ უმაღლესი განათლების მესამე ციკლის დასრულებას, ანიჭებენ სტუდენტებს ვინც:

- ამჟღავნებენ თავისი დარგის სისტემატურ გაცნობიერებასა და უნარებს და სამეცნიერო კვლევების ჩატარების მაღალ ხელოვნებას;
- ამჟღავნებენ შესაძლებლობას ჩამოაყალიბონ, დაგეგმონ, განახორციელონ და დაასრულონ კვლევის პროცესი მაღალ მეცნიერულ დონეზე;
- ორიგინალური გამოკვლევებით შეტანილი აქვთ წვლილი, რომელიც წინ სწევს თანამედროვე ცოდნას დიდი მოცულობის შრომების შესრულებით, რომელთა ნაწილი იმსახურებს გამოქვეყნებას ეროვნულსა და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- შეუძლიათ ახალი და რთული იდეების კრიტიკული ანალიზი, შეფასება და სინთეზი;
- შეუძლიათ კომუნიკაცია თავის კოლეგებთან, ფართო სამეცნიერო საზოგადოებასთან და, ზოგადად, საზოგადოებასთან იმ დარგში, რომელშიც არიან ექსპერტები;

- შეუძლიათ აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში განავითარონ ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული პროგრესი ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში.

ლექსიკონი:

1. სიტყვა **”პროფესიული”** დესკრიპტორში გამოყენებულია მისი უზოგადესი გაგებით და დაკავშირებულია შესასრულებელი სამუშაოს ან პროფესიის ატრიბუტებთან, რომლებიც შეიცავენ გაძლიერებული სწავლების ზოგიერთ ასპექტებს. იგი არ არის გამოყენებული იმ სპეციფიკურ მოთხოვნებთან, რომელიც დაკავშირებულია რეგულირებად პროფესიებთან. ეს ბოლო შეიძლება გავაიგივოთ პროფილთან/სპეციფიკაციასთან.
2. სიტყვა **”კომპეტენცია”** დესკრიპტორში გამოყენებულია მისი უზოგადესი აზრით, რაც კურსდამთვრებულს შესძენს შესაძლებლობას ან უნარს. იგი არ გამოიყენება ვიწრო გაგებით, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ”დიახ/არა” შეფასებასთან.
3. სიტყვა **”კვლევა”** გამოიყენება ისე, რომ დაფაროს საქმიანობის ფართო სპექტრი ხშირად დაკავშირებული სწავლების დარგთან; გამოთქმა გამოიყენება იმისთვის, რომ წარმოადგინოს გულმოდგინე სწავლა ან გამოკვლევა, დაფუძნებული ცოდნის სისტემატურ გაცნობიერებასა და ცნობიერების ამაღლებაზე. სიტყვა გამოიყენება განსაკუთრებულად იმისთვის, რომ შეთანხმდეს საქმიანობის რანგი, რომელიც ამაგრებს ოროგონალურ და ინოვაციურ შრომასაკადემიური, პროფესიული და ტექნიკური დარგების მთელს სპექტრში, ჰუმანიტარული, ტრადიციული, საშემსრულებლო და სხვა შემოქმედებითი დარგების ჩათვლით. იგი არ გამოიყენება შეზღუდული და შემოფარგლული ან მხოლოდ ტრადიციული ”სამეცნიერო მეთოდის” აზრით.

ციკლი	ცოდნა და გაცნობიერება
I	დაფუძნებულია მაღალი დონის სახელმძღვანელოზე, აქვს ინფორმაცია დარგის თანამედროვე ასპექტების შესახებ
II	აქვს საფუძველი ან საშუალება გამოიჩინოს ორიგინალობა იდეების განვითარებასა და გამოყენებაში, ხშირად კვლევის თვალაზრისითაც
III	სწავლების დარგის სისტემატიური გაცნობიერება და ოსტატობა დარგთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებში

ციკლი	ცოდნისა და გაცნობიერების გამოყენება
I	არგუმენტების მოფიქრება და მოშველიება
II	პრობლემების გადაწყვეტის უნარი ახალ ან უცნობ გარემოში მრავალპროფილიანი თვალსაზრისით
III	უნარი მეცნიერული სიზუსტით გაიგონ, ჩამოაყალიბონ, დანერგონ და გამოიყენონ კვლევის მნიშვნელოვანი პროცესი; წვლილი ორიგინალურ კვლევაში, რომელმაც განავითარა

	ცოდნის წინახაზი და რომელიც გამოქვეყნებულია ეროვნულ ან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში
--	---

ციკლი	დასკვნის გამოტანის უნარი
I	აქვთ საშუალება შეკრიბონ და გააანალიზონ შესაბამისი მონაცემები
II	აქვთ უნარი წარმოიდგინონ მთლიანობაში, გაიგონ სირთულე და ჩამოაყალიბონ აზრი არასრული ან შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე
III	აქვთ ახალი და რთული იდეების კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარი

ციკლი	კომუნიკაციის უნარი
I	შეუძლიათ გასაგებად გადასცენ ინფორმა-ცია, იდეები და პრობლემები როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტების საზოგადოებას
II	აქვთ უნარი წარმოიდგინონ მთლიანობაში, გაიგონ სირთულე და ჩამოაყალიბონ აზრი არასრული ან შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე
III	აქვთ ზოგადი კომუნიკაციის უნარი თანამშრომლებთან, დიდ სამეცნიერო აუდიტორიასა და საზოგადოებასთან

ციკლი	სწავლის უნარი
I	დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით აქვთ განვითარებული სწავლის უნარი
II	აქვთ უნარი, გააგრძელონ სწავლა თავისით და დამოუკიდებლობის დიდი ხარისხით
III	მიიღონ მონაწილეობა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული პროგრესში